

შპს „სანგი“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1064177	886222	288658
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	0	104002
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	704451	706376	204790
მარაგები	2247716	1523410	1308702
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	2247716	1523410	1308702
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	77283	38518	30021
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	4093627	3154526	1936173
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	9026	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	0
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	198	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	2483	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	48030	29640	0
სულ ვალდებულებები	57254	32123	0
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4036373	3122403	1936173
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	4036373	3122403	1936173
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4093627	3154526	1936173
სულ მოკლევადიანი აქტივები	1	1	1
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	6846172	4741670
საქონლის გაყიდვიდან	6846172	4741670
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-4639352	-3109776
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2206820	1631894
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-302315	-172689
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-4915	-5172
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-105369	-93207
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-102906	-50535
სულ საოპერაციო ხარჯები	-515505	-321603
საოპერაციო მოგება	1691315	1310291
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-105520	-21641
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1585795	1288650
მოგების გადასახადის ხარჯი	-100773	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1485022	1288650
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1485022	1288650
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3122403	1936173
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-571052	-102420
ჯწლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4036373	3122403

1 ზოგადი ნაწილი

1.1 შპს „სანგი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენ შ ეზღუდული

პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 17 ივლისს საქართველოს

ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთაშესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი

საიდენტიფიკაციო კოდი - 405109651, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შ. ნუცუბიძის მეოთხე მიკრო-რაიონი, კორპუსი 2, ბ 7.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2 კომპანიის 100% წილის მფლობელი არის ზურაბ კახიძე.

კომპანიის დირექტორია ზურაბ კახიძე (პნ 01010011816).

1.3 კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარუდგენს ჰოლანდიიდან, იტალიიდან, თურქეთიდან და ჩინეთიდან პროფესიული სამზარეულო ტექნიკის იმპორტი და რეალიზაცია.

1.4 კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და

მეკავშირე საწარმოები.

1.5 კომპანიას დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2022 წელს შეადგენდა

12 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა:

2.1. კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად საბუღალტრო პროგრამა „ინფი-ბუღალტერში“ ამასთან, კომპანია იყენებს სასაწყობე პროგრამა „დარიექს“. კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს-ის დებულებები.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო- მატერიალური მარაგები:

სასაქონლო- მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმიდა სარეალიზაციო აღიებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირებისა და საბაჟო ხარჯებს.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

გრძელვადიანი აქტივები:

ა) ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის გამოიყენება ხდება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო.

ბ) ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;
სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

2.6 გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

კომპანიაში 2022 წელს გაცემული იქნა დივიდენდი 571052,6 ლარის ოდენობით, რომლის შესაბამისმამოგების გადასახადმა შეადგინა: $(571052,6 / 0.85) * 15\% = 100773,99$ ლარი.

2.7 წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური

გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.702 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებები და შენიშვნები

3.1 ფული და ფულის ეკვივალენტი

	ნაშთი 31.12.2022 <u>მდგომარეობით</u>	ნაშთი 31.12.2021 <u>მდგომარეობით</u>
ნაღდი ფული ლარში	209873	476673
ნაღდი ფული აშშ	1862	156288
ნაღდი ფული ევოში	38631	120317
ლარი საბანკო ანგარიშზე	54430	75897
აშშ დოლარის საბანკო ანგარიშზე	618478	16525
ევროსაბანკო ანგარიშზე	140902	40522
სულ	1064177	849651

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022 <u>მდგომარეობით</u>	ნაშთი 31.12.2021 <u>მდგომარეობით</u>
გასაყიდად განკუთვნილი საქონელი	2247716	1523409

3.3. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი 2022 წლის ბოლოს მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

3.5. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2022 წელი	2021 წელი
<u>საქონლის რეალიზაცია თვითღირებულებით</u>	4639352	3109777

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (2022 წელი - 4639352 ლარი, 2021 წელი - 3109777ლარი) მთლიანად შედგება იპორტირებულ საქონლისგან.

3.6 ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები:

	2022 წელი
რეკლამის ხარჯი	15165
მიწოდების ხარჯი	14343
საპენსიო ხარჯი	5457
საკანცელარიო ხარჯი	615
საბანკო ხარჯი	31910
ელ. ენერგია	2775
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი	32641
სულ	102906

3.7. წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან:

	2022 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	15892
უარყოფითი საკურსო სხვაობები	121412

3.8. სასამართლო დავები:

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული (მოგება-ზარალის) ანგარიშგებაში მოგების გადასახადის მუხლში ასევე ასახულია

3.9. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებს ფუნქციონირებას.

2023 წლის 1 იანვრიდან 26 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად
ნებადართულია 2023 წლის 26 სექტემბერს კომპანიის დირექტორის მიერ.

დირექტორი :

ზ.კახიძე

27/09/2023

